

## **პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ეთიკის ნორმები და მათ დარღვევასთან დაკავშირებული პროცედურები**

### **ზოგადი ღირებულებები**

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) ხელს უწყობს აკადემიის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის შემდეგი ღირებულებების დამკვიდრებას და განმტკიცებას:

- კეთილსინდისიერება
- სამართლიანობა
- ნდობა
- ურთიერთპატივისცემა
- პასუხისმგებლობა

ჩამოთვლილი ღირებულებების დაცვა აუცილებელია აკადემიის საქმიანობაში ჩართული ყველა პირისათვის, განურჩევლად წოდებისა და საქმიანობის სახისა.

აღნიშნული ღირებულებები თავის მხრივ მოიცავს ვალდებულებას, რომელთა არასრული ან არაკეთილსინდისიერი შესრულება განისაზღვრება როგორც არამართლზომიერი ქმედება ან გადაცდომა და დასჯადია ქვევის კოდექსით გათვალისწინებული ზომებით.

### **მანმარტებები**

**დისკრიმინაციად ითვლება** ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან/და იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

**დისციპლინური პასუხისმგებლობა** - პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე, რომელიც დგება სტუდენტის მიერ აკადემიის შიდა რეგულაციით განსაზღვრული წესების დარღვევის დროს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას: გაფრთხილება; ფინანსური სანქცია, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.

**შევიწროება** - ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

სტუდენტთათვის, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამაში, ან/და ახორციელებს სამეცნიერო კვლევას აკადემიის ბაზაზე ან მატერიალურ-ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით, მეტად მნიშვნელოვანია საქმიანობის წარმართვა **ეთიკური ნორმების ფარგლებში**, აკადემიის დებულების შესაბამისად.

### **პროფესიონალური ქცევა გულისხმობს:**

გავსაუბრეთ თქვენს კოლეგა-სტუდენტს და შესთავაზეთ დახმარება, თუ ის:

- უხეშად ექცევა კოლეგებს/ლექტორებს;
- არ ერთვება ჯგუფურ სამუშაოებში საერთო დავალების შესასრულებლად;
- სოციალურ მედიაში შეუსაბამო პოსტებს აზიარებს/ავრცელებს;
- აბულინგებს/ შეურაცხყოფას აყენებს სხვა სტუდენტებს;

- იწერს სხვა სტუდენტებისგან დავალებებს ან მიმართავს პლაგიატს;

#### **არაპროფესიონალურ ქცევად მიიჩნევა:**

სამედიცინო პროგრამის სტუდენტის ქცევამ უნდა გაამართლოს ნდობა, რომელიც აკადემიას და საზოგადოებას აქვთ მის მიმართ. სტუდენტის ქცევა უნდა იყოს პროფესიონალური არა მხოლოდ მედიცინის სკოლის შიგნით, არამედ მის გარეთაც.

#### **პროფესიისთვის შეუსაბამო დამოკიდებულება ან ქცევა**

- სასწავლო პროცესსა და მასთან დაკავშირებული საქმიანობისადმი გულგრილობა
- ადმინისტრაციული დავალებების უგულვებელყოფა
- დროის არასწორი მართვა
- მეცადინეობების და სხვა შეხვედრების გაცდენა
- ცუდი კომუნიკაციური უნარები და კომუნიკაციის საჭიროებისას პასუხის გაუცემლობა
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რჩევების მიუღებლობა და უკუკავშირის უგულვებელყოფა.
- თანატოლებთან, კოლეგებთან, აკადემიის თანამშრომლებთან და სხვა ადამიანებთან უხეშად მოქცევა
- სასწავლო პროცესის ჩაშლა
- კონფიდენციალობის დარღვევა
- სექსუალური, რასობრივი თუ სხვა სახის შევიწროება ან ბულინგი
- დისკრიმინაცია
- სოციალური მედიის ბოროტად გამოყენება
- ქურდობა

#### **წამლის ან ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება**

- ავტომობილის მართვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ
- უქიმის მიერ დანიშნული წამლების ბოროტად გამოყენება
- ალკოჰოლის მოხმარება, რომელიც გავლენას ახდენს საგანმანათლებლო გარემოზე ან კლინიკურ მუშაობაზე
- ალკოჰოლის მუდმივი და გადაჭარბებული გამოყენება
- ნარკოტიკებით ვაჭრობა, შენახვა ან ბოროტად გამოყენება.

#### **თაღლითობა ან პლაგიატი**

- გამოცდების დროს გადაწერის მცდელობა ან კითხვებზე პასუხების არაკეთილსინდისიერად მოპოვება
- თანატოლებისთვის არასწორ საქციელში ხელის შეწყობა ან მისი დაფარვა
- სხვისი ნაშრომის ჩაბარება, როგორც საკუთარის
- სტუდენტებთან ან სხვა პირებთან გამოცდის ჩაბარების შემდეგ საგამოცდო მასალის დეტალების გაზიარება
- შეფასებების გაყალბება

#### **არაკეთილსინდისიერება ან თაღლითობა, მათ შორის პროფესიონალური როლის მიღმა არაკეთილსინდისიერება**

- კვლევის შედეგების გაყალბება
- ფინანსური თაღლითობა
- CV-ს ან სხვა დოკუმენტების გაყალბება
- საკუთარი კვალიფიკაციის არასწორად წარდგენა
- ხელმოწერების გაყალბება
- არასწორი საქციელის ან საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ ინფორმაციის განუცხადებლობა

#### **აგრესიული ან ძალადობრივი ქცევა და მუქარა**

- ფიზიკური ძალადობა
- ბულინგი
- შევიწროვება
- სექსუალური შევიწროვება/მეურაცხყოფა

- თვალთვალა
- ონლაინ ბულინგი
- ნებისმიერი სახის ძალადობა (ბავშვზე, მოხუცზე, პარტნიორზე, ცხოველზე და სხვა)

### **არაპროფესიონალური ქცევის შემთხვევის შესახებ განცხადების წარდგენის და განხილვის პროცედურა**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ აკადემიის სტუდენტის მიერ დაირღვა თქვენი უფლებები, შეგიძლიათ წერილობითი განცხადებით მიმართოთ აკადემიის საქმისწარმოების სამსახურს (ოფისის მენეჯერი) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე [tma@tma.edu.ge](mailto:tma@tma.edu.ge) (ან პირდაპირ განცხადების დასაწერად მიზრდნელთ საქმისწარმოების სამსახურში (მე-3 სართული), რომლის საფუძველზეც, შიდა პროცედურების დაცვით შეიქმნება ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელიც თქვენს განცხადებას განიხილავს.

### **საქმის მსვლელობასთან დაკავშირებული უტაპები**

ადმინისტრაციული კომიტეტი დანიშნავს მოსმენას, სადაც თქვენ და თქვენი განცხადების ადრესატ(ებ)ი შეძლებთ თქვენი მოსაზრების/ფაქტების დაფიქსირებას. პრობლემის შესახებ აუცილებლად ისაუბრეთ კონფიდენციალურად და, რაც მთავარია, პიროვნების განსჯის გარეშე.

ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საკითხის განხილვის შემდგომ, ის იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება იყოს შემდეგი:

1. წერილობითი გაფრთხილება
2. ფინანსური სანქცია (მატერიალური ზიანის შემთხვევაში)
3. სტატუსის შეჩერება
4. სტატუსის შეწყვეტა

თუ თქვენთვის ან თქვენი განცხადების ადრესატ(ებ)ისთვის ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილება არ არის მისაღები, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია ისარგებლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმით. ასეთ შემთხვევაში, გასაჩივრების შესახებ განცხადების საფუძველზე ხელახლა შეიკრიბება ადმინისტრაციული კომიტეტი (სააპელაციო მოსმენა) და განიხილავს როგორც გასაჩივრების შესახებ განცხადებას, ასევე, გასაჩივრების საფუძველებს (მათ შორის მტკიცებულებებს).

ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს პირვანდელი გადაწყვეტილება. სააპელაციო მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო ხასიათს ატარებს და ხელახალ გადახედვას აღარ ექვემდებარება.